



შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე

ანა ჩიტალაძე¹

ივლისი 2018/ გამოცემა №7

მოკლე შინაარსი

ბოლო პერიოდში, შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებით განსაკუთრებით დაინტერესდა ნატო და ევროკავშირი, რაც აისახა, როგორც 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტსა და 2017 წლის ბუქარესტში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე, ასევე 2011 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ „შავი ზღვის სტრატეგიაში“. ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან შავი ზღვის რეგიონისადმი დათმობილმა ყურადღებამ ცხადყო, რომ ის ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის ნაწილად მოიაზრება. თუმცა, თუ რეგიონის გეოპოლიტიკურ რუკაზე დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ შავი ზღვა ამავდროულად, გლობალური ძალების კონფრონტაციის ხაზია, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, რუსეთისა და ნატოს, რუსეთისა და ევროკავშირის, ხოლო მეორე მხრივ თურქეთის, რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება სულ უფრო აქტუალური ხდება და ის გლობალური უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი აკადემიური თვალსაზრისით, ხოლო სახელმწიფოების ინტერესები და პოლიტიკა ამ რეგიონის მიმართ ხშირად არაა ცალსახა და თანმიმდევრული.

აღნიშნული კვლევითი დოკუმენტის მიზანია მიმოიხილოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ტენდენციები და ძირითადი აქტორების ინტერესები. ამასთან, მათი რეგიონული პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე, წარმოადგინოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროს განვითარების პერსპექტივები. ნაშრომის ბოლოს, შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის, ნატოსა და ევროკავშირისათვის რუსეთის აგრესიის შეჩერებისა და რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

¹ ანა ჩიტალაძე - დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი

შესავალი

რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ, რეგიონში რუსეთის მიერ პოზიციის გამყარების და შავი ზღვის აუზში მიმდინარე მზარდი მილიტარიზაციის ტენდენციის გათვალისწინებით, ევროკავშირისა და ნატოსთვის შავი ზღვის აუზს კიდევ უფრო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. ნატოსა და ევროკავშირისათვის შავი ზღვის მნიშვნელობას განსაკუთრებით გაესვა ხაზი 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტსა და 2017 წელს ბუქარესტში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე, ასევე 2011 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ „შავი ზღვის სტრატეგიაში“.

მართალია, შავ ზღვას ყოველთვის ჰქონდა დიდი გეოპოლიტიკური დატვირთვა, თუმცა ისტორიის მანძილზე ის უფრო მეტად სხვადასხვა გეოგრაფიული სივრცეების, სახელმწიფოების და ცივილიზაციების გამყოფი იყო, ვიდრე გამაერთიანებელი. დღესაც, შავი ზღვის რეგიონში ერთმანეთს უპირისპირდება ძლიერი სახელმწიფოებისა და სხვა აქტორების (ნატოსა და ევროკავშირის) წინააღმდეგობრივი ინტერესები. აღნიშნულ სივრცეში არ არსებობს ერთიანი რეგიონული იდენტობა და ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონე. ამასთან, განვითარების დონის, დემოკრატიის ხარისხისა და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების თვალსაზრისით რეგიონის სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. სწორედ ამიტომ, უსაფრთხოების გამოწვევების მიუხედავად, ვერ მოხერხდა საერთო რეგიონული უსაფრთხოების ხედვის შემუშავება. უფრო მეტიც, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირისა და ნატოს) რეგიონული პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში არ არის ცალსახა და თანმიმდევრული.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფონზე ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბების ნიშნები სულ უფრო შესამჩნევი ხდება, აღნიშნული კვლევითი დოკუმენტის მიზანია მიმოიხილოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ტენდენციები, ძირითადი აქტორების ინტერესები და მათი რეგიონული პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროს განვითარების პერსპექტივები.

შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის, ნატოსა და ევროკავშირისთვის რუსეთის აგრესიის შეჩერებისა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება - აქტორთა ინტერესები და პოლიტიკა

ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

2004 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის ალიანსში გაწევრიანების შემდეგ ნატო შავი ზღვის რეგიონულ აქტორად იქცა, ხოლო რეგიონის უსაფრთხოება ნატოს დღის წესრიგის პრიორიტეტი გახდა. შავი ზღვის ექვსი სანაპირო ქვეყნიდან სამი ნატოს წევრია (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი), ორი (საქართველო და უკრაინა) კი ნატოში ინტეგრაციისკენ მისწრაფვის. თუმცა, ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ, ათი წელი დასჭირდა ალიანსს, რომ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების სტრატეგიასა და პოლიტიკის შემუშავებაზე დაეწყო ზრუნვა.

ნატოსთვის შავ ზღვას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მას სამხედრო თვალსაზრისით, დიდი ადგილი უჭირავს ევროპული კოლექტიური თავდაცვის სისტემაში ამავდროულად რუსეთთან გამკლავების ერთ-ერთ ფრონტს წარმოადგენს და სხვადასხვა კონფლიქტებისა და დაპირისპირების ფონზე ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ტერორიზმის საფრთხემ და ახლო აღმოსავლეთში (კერძოდ, სირიაში) მდგომარეობის ესკალაციამ კიდევ უფრო დიდი სტრატეგიული დატვირთვა შესძინა ამ რეგიონს. გასათვალისწინებელია, რომ სირიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებისთვის შავი ზღვის აუზი ნატოს, რუსეთისა და თურქეთის სამხედრო გემებისა და სხვა შეიარაღების განთავსებისთვის სტრატეგიულ სივრცედ იქცა.

ყირიმის ანექსიის შემდეგ შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხმა პრიორიტეტული ადგილი დაიკავა ნატოს პოლიტიკურ დღის წესრიგში და მჭიდროდ დაუკავშირდა ალიანსისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანებს. ამას მოწმობს აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურებში, მათ შორის ისეთი მაღალი დონის ფორმატებში, როგორებიცაა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო და საპარლამენტო ასამბლეა ამავდროულად კი სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში მისი ასახვა². თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შავი ზღვის უსაფრთხოებაზე აქტიურად მსჯელობენ ის სახელმწიფოები რომლებიც არ არიან ნატოს წევრები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციისა და ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერების კონტექსტში.

²2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე მიღებულ დოკუმენტში „მზაობის სამოქმედო გეგმაში“. 2016 წლის ივლისში ვარშავაში გამართულ ნატოს სამიტზე მიღებულ კომუნიკეში. ასევე, 2017 წლის რეზოლუცია - „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“

ყირიმის ანექსიის შემდეგ შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევამ ნატოს რეგიონული უსაფრთხოების ხედვის ჩამოყალიბების ზრუნვისკენ უბიძგა. ამავდროულად, ნატოს რეაგირება ყირიმის ანექსიაზე და მისი სტრატეგია მიაჩნებდა, რომ შავი ზღვის რეგიონს ალიანსი ერთიან კომპლექსად აღიქვამს, სადაც ერთი სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხე ყველა სხვა აქტორზე ახდენს გავლენას, ამავდროულად, შავი ზღვის რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების შექმნისთვის ნატო საკუთარ სტრატეგიაში რეგიონში არსებული ყველა აქტორის მონაწილეობას მოიაზრებს.

ნატოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ნატოს შავი ზღვის აუზისადმი მრავალი სამხედრო ინიციატივა ჰქონდა. მათ შორის, აღსანიშნავია, ნატოს სურვილი შავი ზღვის აუზში ემოქმედა Operation Active Endeavour (OAE)-ის ფარგლებში³, რომელიც 2001 წლის ტერორისტულ აქტზე პირდაპირ პასუხს წარმოადგენს. თუმცა, თურქეთისა და რუსეთის წინააღმდეგობის გამო აღნიშნული ინიციატივის განხორციელება შავ ზღვაში ვერ მოხერხდა. ამასთან, ნატოს აქტიურობა რეგიონში შესაძლებელია განვიხილოთ პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (PAP) და ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში.

2014 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი, ნატო იძულებული გახდა მიეღო საპასუხო ზომები რეგიონში ალიანსის წამრომადგენლობისა და პოზიციების შესანარჩუნებლად, რაც ასახულია ნატოს „მზაობის სამოქმედო გეგმაში“ (2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე მიღებულ დოკუმენტში⁴).

რუსეთის აგრესიის შედეგად მყისიერად გაიზარდა ნატოს სამხედრო წარმომადგენლობა შავ ზღვაში. 2014 წლის აპრილში განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ, ნატომ დაგეგმილზე 2-ჯერ მეტი რაოდენობის სამხედრო წვრთნები ჩაატარა შავი ზღვის აუზში, ხოლო 2015 წელს კიდევ უფრო გაიზარდა მათი რაოდენობა⁵. ასევე, ნატოს წარმომადგენლობა შავ ზღვაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ს გემების შემოსვლით რეგიონში. ნატოს საზღვაო ფლოტს დაემატა 2 ამერიკული საზღვაო გამანადგურებელი, რომლებიც ესპანეთის აკვატორიიდან იქნა გადმოყვანილი შავ ზღვაში. აღნიშნული გემების დანიშნულებას

³OAE ფართომასშტაბიანი საზღვაოსნო უსაფრთხოების ოპერაციაა მუდმივი ფლოტით, რომლის მიზანი ხმელთაშუა ზღვაში ტერორისტული და კრიმინალური მოქმედებების შეჩერება და გამოვლენაა. Sanders, Deborah. 2009. *Maritime security in the Black Sea: can regional solutions work?* Accessed June 9, 2018. <https://doi.org/10.1080/09662830903433720>

⁴Nato. 2014. „Nato Readiness Action Plan“. Accessed June 9, 2018. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2015_12/20151130_1512-factsheet_rap_en.pdf

⁵2014 წელს ნატომ შავ ზღვაში ჩაატარა 162 სამხედრო წვრთნა, 2-ჯერ მეტი ვიდრე დაგეგმილი იყო, ხოლო 2015 წელს 270 სამხედრო წვრთნა. Frear, Thomas., Kearns, Ian, Kulesa, Lukasz. 2015. *Preparing for the Worst: Are Russian and NATO Military Exercises Making War in Europe More Likely?* European Leadership Network. Accessed June 10, 2018. <https://bit.ly/2LBGLc9>

წარმოადგენს ბალესტიკური თავდაცვის (BMD) უზრუნველყოფა შავი ზღვის რეგიონში, ასევე ნატოს მისიებისა და წვრთნების მხარდაჭერა⁶.

ასევე, ბოლო პერიოდში შავი ზღვის რეგიონში, ნატოსა და რუსეთს შორის სახიფათო სამხედრო ინტერაქციის ხარისხმა მნიშვნელოვნად იმატა, რაც ზრდის რეალური სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის რისკს. საზღვაო ძალები ერთმანეთს „გადაეკვეთნენ“ 66-ჯერ 2014 წლის მარტსა და 2015 წლის მარტს შორის პერიოდში. მართალია, ნატოს ყოველწლიური სამხედრო წვრთნა „ზღვის ბრიზი“ 1997 წლიდან მიმდინარეობს, თუმცა 2014 წელს, კრემლმა პირველად რუსეთის საზღვაო სამხედრო წვრთნებიც იმავე პერიოდს დაამთხვია, რამაც საკმაოდ დაძაბული ატმოსფერო შექმნა შავ ზღვაში.

ამასთანავე, ნატოს ინიციატივა გულისხმობს შავი ზღვის მრავალეროვნული საზღვაო ძალის ჩამოყალიბებას როგორც ალიანსის წევრი სახელმწიფოების (თურქეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის), ასევე მისი პარტნიორების (საქართველოსა და უკრაინის) მონაწილეობით, რაც რუსეთის საფრთხეზე რეგიონის ერთობლივი რეაგირების საუკეთესო მაგალითია. 2017 წლის 10 ოქტომბერს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რუმინეთში შავ ზღვაში ნატოს ფლოტის მონახულებისას აღნიშნა, რომ სამხრეთის (მათ შორის შავი ზღვის აუზში) ნატოს სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდის მიზანია მსოფლიოს დაანახოს, რომ „ნატო აქ არის, ნატო ძლიერია და ნატო ერთიანია“⁷.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივლისში ვარშავაში გამართულ ნატოს სამიტზე მიღებულ კომუნიკეში⁸ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შავ ზღვას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ხოლო რუსეთის მიერ დესტაბილიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები და მის მიერ გატარებული პოლიტიკა მოიცავს პროვოკაციულ სამხედრო ქმედებებს ნატოს საზღვრებთან, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში.⁹ რუსეთის მიერ სამხედრო ზეწოლის გაგრძელება რეგიონზე უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად არის შეფასებული.¹⁰ გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესების გამო, შავი ზღვის რეგიონი გათვალისწინებულია ალიანსის მიდგომებსა და პოლიტიკაში.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ნატო მხარს დაუჭერს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ნებისმიერ ინიციატივას რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და მჭიდროდ ითანამშრომლებს მათთან. სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტშია ნახსენები

⁶ LaGrone, S. 2016. VIDEO: U.S. Destroyer Enters Black Sea for First Time in 2016. *USNI News*. Accessed June 10, 2018. <https://news.usni.org/>

⁷ *The Times*. 2017. „Nato’s new Black Sea force ‘sends clear message to Russia’, says Jens Stoltenberg“. Accessed June 10, 2018. <https://www.thetimes.co.uk/>

⁸ Nato Warsaw Summit communique, 2016. Accessed June 10, 2018. https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_133169.htm

⁹ იქვე Article 10

¹⁰ იქვე Article 23

ურთიერთობის გაღრმავება ალიანსის პარტნიორებთან - საქართველოსა და უკრაინასთან.¹¹ ამასთან კომუნიკეს თანახმად, ნატო მიზნად ისახავს გააძლიეროს თავისი სამხედრო წარმომადგენლობა ალიანსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე (მათ შორის შავ ზღვაზე). ასევე ხაზგასმულია, შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით შესაბამისი ზომების მიღება, მათ შორის რუმინეთის ინიციატივა მრავალეროვნული სამხედრო შენაერთის შექმნასთან დაკავშირებით, მოაზრებულია ალიანსის თავდაცვისა და შეკავების შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებად.¹²

2017 წლის ოქტომბერში ბუქარესტში გამართულ ნატოს 63-ე საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში, სადაც 50 ქვეყნის დელეგაცია იღებდა მონაწილეობას (მათ შორის ასპირანტი და მოკავშირე სახელმწიფოების დელეგაციებიც), მიიღეს რეზოლუცია - „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“,¹³ რომელიც გერმანელი დეპუტატის ულა შმიდტის მიერ იყო მომზადებული. დოკუმენტში საუბარია რუსეთის შეკავებაზე და ამ კონტექსტში, შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერების მნიშვნელობაზე. რეზოლუციის მიხედვით, საქართველოსა და უკრაინას შავი ზღვის უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება. ასევე, ასამბლეა ღრმა შემფოთებას გამოთქვამს შავი ზღვის რეგიონში სიტუაციის დამაბვის გამო, რაც რუსეთის მიერ ყირიმის არალეგიტიმურმა ანექსიამ განაპირობა, ისევე როგორც საქართველოს რეგიონების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციის გაგრძელებაზე და მიესალმება ბუქარესტის სამიტზე ალიანსის ლიდერების გადაწყვეტილებას მიიღონ ზომები რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერებისთვის. ამასთანავე, ასამბლეა გმობს რუსეთის, დაშინების და დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობებს იმ მეზობელ სახელმწიფოებში, რომლებსაც ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებთან ინტეგრაცია სურთ.¹⁴

ევროკავშირის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

ნატოს მსგავსად, ევროკავშირისთვის შავი ზღვის რეგიონს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია ვაჭრობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ამასთანავე, მისი ღია კარის პოლიტიკა ცხადყოფს, რომ დემოკრატიისა და სტაბილურობის გავრცელება რეგიონში ორგანიზაციის ინტერესებშია. ასევე, ახალი საფრთხეების, მათ შორის მიგრაციისა და ტერორიზმის ფონზე შავი ზღვის სივრცე ახალ დატვირთვას იძენს. რეგიონის ორი სახელმწიფო ევროკავშირის წევრია (ბულგარეთი და რუმინეთი), ხოლო სამს ევროპულ გაერთიანებაში გაწევრიანება სურს, საიდანაც ერთი-კანდიდატია (თურქეთი), ორთან კი ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული (საქართველო, უკრაინა).

¹¹ იქვე Article 23

¹² იქვე

¹³ Nato 2017. Resolution 437. Accessed: June 9, 2018. <https://www.nato-pa.int/document/2017-resolution-437-black-sea-219-cds-17-e>

¹⁴ იქვე

2007 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის წევრი გახდა, ევროკავშირი იზიარებს საზღვრებს შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებთან, და შესაბამისად, რეგიონში არსებულ გამოწვევებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს ევროკავშირი საკუთარ გამოწვევებად, საფრთხეებად და შესაძლებლობებად აღიქვამს. ევროკავშირი შავი ზღვის აუზს რომ ერთიან, განუყოფელ და მისთვის მნიშვნელოვან რეგიონად მიიჩნევს, ამას ადასტურებს ჯერ კიდევ 2007-2011 წლებში მის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ინიციატივები, სტრატეგიები და დოკუმენტები.¹⁵

ევროკავშირის როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში

2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია¹⁶ „ევროკავშირის შავი ზღვის სტრატეგია“. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიულ ხიდს წარმოადგენს, რომელიც ევროპას კასპიის ზღვის აუზთან აკავშირებს, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთთან და მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს ევროპას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთთან კავშირში. ასევე, ხაზგასმულია, რომ შავი ზღვის რეგიონი ნაწილობრივ ევროკავშირის შემადგენელი ნაწილია და გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტწილად ევროპულ ზღვას წარმოადგენს¹⁷. დოკუმენტის თანახმად ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს საერთო გამოწვევები და შესაძლებლობები აქვთ უსაფრთხოების თვალსაზრისით და მთავარ ინტერესს წარმოადგენს, რომ უზრუნველყოფილი იყოს რეგიონში მშვიდობა, დემოკრატია, უსაფრთხოება, სტაბილურობა, რეგიონული თანამშრომლობა და მდგრადი განვითარება. ამასთან დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს¹⁸

საყურადღებოა, რომ ევროკავშირის სექტორულ ინიციატივებში ხშირად ფიგურირებს შავი ზღვის რეგიონი. 2007 წელს (ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ) ჩაეყარა საფუძველი შავი ზღვის სინერჯის დაარსებას,¹⁹ რომელიც ერთ-ერთ მთავარ რეგიონულ ინიციატივას წარმოადგენს და ხელს უწყობს ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა სფეროებში შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან. შავი ზღვის სინერჯის ფარგლებში თანამშრომლობა მიმდინარეობს თევზჭერის, საზღვაო ტრასპორტის, ენერჯეტიკის, ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით. ეს ინიციატივა ასევე მხარს უჭერს

¹⁵ასეთ ინიციატივებსა და პროექტებს შორის არის: The Black Sea Horizon Project, რომელიც მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობას ისახავს მიზნად (Black Sea Horizon, 2018), „საზღვრებს შორის თანამშრომლობის პროგრამა შავი ზღვის აუზისთვის“ (2007-2013 წლებისათვის), რომელიც მოიცავდა ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა სოციალური და ეკონომიკური სფერო, გარემოს დაცვა, კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივები (Pirinski & Deyanov, 2017, p.17). ასევე, 2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია „ევროკავშირის შავი ზღვის სტრატეგია“.

¹⁶ European Parliament. Resolution. 2011. „EU Strategy for the Black Sea“. Accessed: June 9, 2018.

<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0/EN>

¹⁷იქვე

¹⁸იქვე

¹⁹An official website of the European Union. Black Sea Synergy, Accessed: June 9, 2018. https://eeas.europa.eu/diplomatic-network/black-sea-synergy/346/black-sea-synergy_en

რეგიონში დემოკრატიის გაძლიერებას, კარგი მმართველობისათვის რეფორმების გატარებასა და ადამიანის უფლებების დაცვას, რაც ევროკავშირის პერსპექტივიდან მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს რეგიონის სტაბილურობისათვის.²⁰

შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს, უკრაინის რუსეთისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკაში

რუსეთის გაძლიერება შავ ზღვაში, მის მილიტარისტულ და აგრესიულ პოლიტიკასთან ერთად საფრთხეს წარმოადგენს რეგიონის პატარა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არცთუ ისე განვითარებული თავდაცვის შესაძლებლობებით გამოირჩევიან ზღვაზე. უკრაინამ დაკარგა თავისი ფლოტის 70% ყირიმის ოკუპაციის შედეგად. საქართველოს ჰყავს მხოლოდ რამდენიმე სანაპირო (სახაზო) გემი, ხოლო ნატოს წევრ სახელმწიფოებს, ბულგარეთსა და რუმინეთის საზღვაო ძალები საკმაოდ მოძველებულია და არცთუ ისე დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ამავდროულად მათი თავდაცვის შესაძლებლობები საკმაოდ სუსტია.²¹

საყურადღებოა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების ორმხრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად იქცა. გარდა იმისა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება ხშირად განიხილება ნატოს კონტექსტში, ის ასევე დადებით როლს თამაშობს სანაპირო სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაშიც (რუსეთის გამოკლებით).

საქართველოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

შავი ზღვა საქართველოსთვის გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთადერთი შეხების წერტილია ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან, რომელში ინტეგრაციაც საქართველოს ურყევი, დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური ამოცანაა. ამასთანავე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება განსაკუთრებით სენსიტიურად აისახება საქართველოს სავაჭრო, სატრანზიტო და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. მას შემდეგ, რაც საქართველომ გამოთქვა სურვილი ჩაერთოს აბრეშუმის გზის პროექტში და ერთგვარ „სატრანზიტო ჰაბად“ იქცეს, შავი ზღვის უსაფრთხოებამ კიდევ უფრო დიდი პრიორიტეტულობა შეიძინა ქვეყნისათვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსთვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი

²⁰ Commission of the European communities.2007. Black Sea Synergy - A New Regional Cooperation Strategy, Accessed: June 9, 2018. http://www.fp7-ncp.kiev.ua/assets/Ukraine_EU/com07160en.pdf

²¹ Hudson Institute, Center for American Seapower.2017. Why the Black Sea Matters. Policy Paper. P 9-10. Accessed June 10, 2018. <https://bit.ly/2JLkaNm>

განსაკუთრებით აქტუალურია ნატოში ინტეგრაციისა და ალიანსთან ურთიერთობების გაღრმავების კონტექსტში.

საქართველოსათვის, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ნაწილად ქცევა საქართველოს მიერ პოსტსაბჭოთა სივრცესა და რუსეთის გავლენის სფეროს მიკუთვნებულობისაგან თავის დაღწევის მცდელობას წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია, როგორც უსაფრთხოების კუთხით ასევე ეროვნული და საგარეო პოლიტიკური იდენტობის თვალსაზრისით. ნებისმიერი ფორმით შავი ზღვის რეგიონთან მიკუთვნებულობა საქართველოს დასავლური ამბიციების განხორციელების შესაძლებლობა და ხელსაყრელი ფორმატია. ეს მისწრაფება კარგად ჩანს პრემიერ-მინისტრ, გიორგი კვირიკაშვილის 2016 წლის განცხადებაში „ნატოს მხრიდან ძალისხმევის გაზრდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმართულებით ნიშნავს, რომ იხსნება ახალი შესაძლებლობები, საქართველო ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების უფრო ფართო რეგიონის ნაწილად - რეგიონისა, რომლის სახელმწიფოთა ნაწილიც ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან“.²²

თუმცა, თურქეთისა და რუსეთის სამხედრო უპირატესობისა და რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან მათი შედარებითი სიძლიერის გამო, ამ ორ ქვეყანას მონოპოლია აქვს შავ ზღვაზე, ამიტომ, მე-20 საუკუნეში შავი ზღვა საქართველოსთვის საფრთხის წყარო უფრო იყო, ვიდრე კომუნიკაციის საშუალება. მას შემდეგ, რაც ნატოს ფარგლებში განსაკუთრებით გააქტიურდა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განხილვა, რეგიონის უსაფრთხოების თემატიკა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგისა და საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხადაც იქცა.

საქართველოსათვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მნიშვნელობა ხაზგასმულია, ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2014 წელს შემუშავებულ ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში, რეგიონულ დონედ გამოყოფილია შავი ზღვის რეგიონი და ნათქვამია, რომ საქართველო დაინტერესებულია გაღრმავოს არსებული თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ნატოს წევრ ქვეყნებსა და სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.²³ ასევე, თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში კვლავ გამოყოფილია შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების კომპლექსური და არამდგრადი ვითარება, ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული პროცესები.²⁴ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში 2015-2018 წლებისათვის კი რეგიონულ განზომილებაში გამოყოფილია მხოლოდ შავი ზღვის რეგიონი, როგორც

²² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2016. საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მისასალმებელი სიტყვა აშშ-სადორილის გახსნაზე. ბოლო ნახვა: 10 მაის, 2018 <https://bit.ly/2sVGd9w>

²³ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2014. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. ბოლო ნახვა: 10 მაის, 2018 <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf>

²⁴ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2017. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა. ბოლო ნახვა: 10.06.2018 <https://mod.gov.ge/>

ერთადერთი რეგიონული სივრცე, რომლის ნაწილადაც საქართველო თავს აღიქვამს²⁵. ხოლო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახელმწიფო ინტერესად გამოყოფილია რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა და აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე უშუალო გავლენას ახდენს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესები.²⁶

საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში

2014 წლის შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ამ დინამიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველო მუდმივად ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელობას ევრო-ატლანტიკური სივრცისა და გლობალური უსაფრთხოებისათვის. ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას - ალიანსმა გააძლიეროს შავ ზღვაში წარმომადგენლობა - საქართველო მყისიერად გამოეხმაურა. 2016 წლის ვარშავის სამიტის ფარგლებში, საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის განცხადებით²⁷, საქართველოს მთავარი ამოცანაა, შავი ზღვის ახალი უსაფრთხოების ფორმატში იყოს ჩართული და მისი თქმით არარსებობს შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს გარეშე.²⁸

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხია საქართველოსა და ნატოს უმაღლესი დონის წარმომადგენლების შეხვედრების სხვადასხვა ფორმატში 2016-2017 წლებში. 2016 წლის დეკემბერში ნატოს გენერალური მდივანს იენს სტოლტენბერგსა და საქართველოს პრემიერ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შორის გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, მზადაა ჩაერთოს ალიანსის მცდელობებში შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით.²⁹ ხოლო, 2016 წელს, იენს სტოლტენბერგის საქართველოში ვიზიტისას პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ შავი ზღვის რეგიონის მომავალი უშუალოდაა დაკავშირებული ერთიანი და მთლიანი ევროპის კეთილდღეობასთან. ხოლო, საქართველოსა და მისი პარტნიორების საერთო ამოცანაა

²⁵საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2015. *საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია*. ბოლო ნახვა: 10.06.2018 <http://mfa.gov.ge/>

²⁶საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. *საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია*. ბოლო ნახვა: 10.06.2018 <http://mfa.gov.ge/>

²⁷საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. 2016. „თინა ხიდაშელი: მთავარი ამოცანაა, საქართველო შავი ზღვის ახალი უსაფრთხოების ფორმატში იყოს ჩართული“. ბოლო ნახვა: 10.06.2018. <http://ghn.ge/com/news/view/156184>

²⁸*IPress*. 2016. „თინა ხიდაშელი: შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს გარეშე არ არსებობს“ ბოლო ნახვა: 10.06.2018. <https://bit.ly/2y1ufkk>

IPress, 2016. „თინა ხიდაშელი: შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს გარეშე არ არსებობს“ ბოლო ნახვა: 10.06.2018. <https://bit.ly/2y1ufkk>

ივნიხი, 2018, <https://mod.gov.ge/news/read/5450/ienstoltenebri-saqartveloze>

ერთობლივად უზრუნველყონ შავი ზღვის უსაფრთხოება და აქციონ ევროპული თანამშრომლობის სივრცედ.³⁰

საქართველოს მცდელობა საკუთარი თავი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სიტემის განუყოფელ ნაწილად წარმოაჩინოს მხოლოდ ცალმხრივი რიტორიკა არ არის და შეიძლება ითქვას, რომ წახალისებულა თავად ალიანსის მხრიდან. ნატოს სამხედრო კომიტეტის საქართველოში გამართულ სესიაზე აღინიშნა: „საქართველო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში იქნება არა მხოლოდ მონაწილე, არამედ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი³¹. ხოლო, 2016 წლის 8 ივნისს ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მოკავშირე მინისტრები მიესალმებიან საქართველოს ჩართულობას სტრატეგიულ დისკუსიაში შავი ზღვის უსაფრთხოებასა და რეგიონში მიმდინარე ბოლოდროინდელ განვითარებებთან დაკავშირებით.³²

საქართველო აქტიურად არის ჩართული ნატოს მიერ ჩატარებულ მრავალ სამხედრო წვრთნაში. ხოლო, ქვეყანაში მიმდინარე უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოს სამხედრო სფეროს ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას. საქართველოს თანამშრომლობამ დასავლელ პარტნიორებთან სამხედრო სფეროში, წვლილი შეიტანა ქვეყნის სანაპირო დაცვის გაძლიერებაში და ზოგადად საზღვაო ძალების შემადგენლობაში მყოფი სამხედროების პროფესიონალიზმისა და უნარების განვითარებაში. გაძლიერდა კონტაქტები ნატოს საზღვაო ძალების სარდლობასა და საქართველოს სანაპირო დაცვას შორის.

საქართველო მხარს უჭერს ხმელთაშუა ზღვაში ნატოს კონტრტერორისტულ საზღვაო-სადაზვერვო ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა“ (Active Endeavour), რომელიც 2016 წლის ოქტომბერში ჩაანაცვლა ნატოს საზღვაო ოპერაციამ „ზღვის მცველი“ (Sea Guardian). საქართველო ასევე ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF)³³. ხოლო, 2015 წელს საქართველოში პირველად შედგა ნატოს საზღვაო სარდლობის ვიზიტი. „საპორტო ვიზიტის“ ფარგლებში, ბათუმს ნატოს საზღვაო სარდლობის მუდმივმოქმედი საზღვაო გამნაღმველი ჯგუფი 2-ისგემები, ორი გერმანული და ერთი თურქული გამნაღმველი ფრეგატი ეწვია.³⁴ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებით ნატოსა და საქართველოსათვის ისეთი მნიშვნელოვანი

³⁰საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. გიორგი მარგველაშვილი - ჩვენი საერთო ამოცანაა უზრუნველყოთ შავი ზღვის უსაფრთხოება და ვაქციოთ იგი ევროპული თანამშრომლობის სივრცედ. ბოლო ნახვა: 10.06.2018 <https://bit.ly/2l2YjTA>

³¹ინტერპრესნიუსი. 2017. „გენერალი პეტრ პაველი - საქართველო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში იქნება არა მხოლოდ მონაწილე, არამედ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი.“ ბოლო ნახვა: 10.06.2018. <https://bit.ly/2sJcmSw>

³²Nato.int. 2016. „Joint statement of the NATO-Georgia Commission at the level of Foreign Ministers.“ Accessed: June 10, 2018. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133175.htm

³³საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2016. ნატო-საქართველოს ურთიერთობები. ბოლო ნახვა: 10.06.2018. <http://www.mfa.gov.ge/>

³⁴საქართველოს თავდაცვის სამინისტრო „ნატო-ს საზღვაო ძალების ფრეგატები შავ ზღვაში“ ბოლო ნახვა: 10.06.2018 <https://mod.gov.ge/news/read/2258/nato-marine-commandership%E2%80%99s-permanent-group-2-of-marine-sappers-in-black-sea>

პარტნიორობის დაინტერესებამ, როგორც აშშ-ია მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს ფოკუსის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე.

უკრაინის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

უკრაინისათვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვაო უსაფრთხოება, პირდაპირ არის დაკავშირებული მის ეროვნულ უსაფრთხოებასთან. განსაკუთრებით ყირიმის ანექსიის შემდეგ. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსია ხშირად განიხილება სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში, ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტთან ერთად. უკრაინაში შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება ძირითადად განიხილება ევროინტეგრაციის, ასევე ნატოში ინტეგრაციის ფარგლებში, შესაბამისად საგარეო პოლიტიკური იდენტობის ნაწილში შავი ზღვის რეგიონთან მიკუთვნებულობა საკმაოდ ძლიერაა წარმოდგენილი.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის მნიშვნელობასა და მის როლზე ხშირად ხდება ხაზგასმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უკრაინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ფორმატებსა და რეგიონულ ურთიერთობებში ამ საკითხის წინ წამოწევა. ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში პოროშენკომ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმი სამხედრო ჰაზს წარმოადგენს, რადგან იქ განთავსებულია ჭურვები ბირთვული იარაღისათვის. უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ არსებული ვითარება საფრთხეს წარმოადგენს არამხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ შავი ზღვის რეგიონში წარმოშობს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხეს³⁵.

უკრაინის როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში

უკრაინამ, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთმა მთავარმა რეგიონულმა აქტორმა ჯერ კიდევ 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო საუბარი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გასამლიერებლად, რაც მოაზრებული იყო „ევროპული უსაფრთხოების სივრცის“ ნაწილად რეგიონის ქცევის მცდელობად. მაგალითისათვის, 2010 წელს “ხარკოვის შეთანხმების“ გაფორმების შემდეგ, რომელიც გულისხმობდა უკრაინული შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებას ყირიმში, უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივა დაკავშირებულია „ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სიტემის“ შექმნასთან³⁶.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო „ნატო-ს საზღვაო ძალების ფრეგატები შავ ზღვაში“ ბოლო ნახვა: 10.06.2018 lack-sea" <https://mod.gov.ge/ge/news/read/2258/nato-marine-commandership%E2%80%99s-permanent-group-2-of-marine-sappers-in-black-sea>

ყირიმის ანექსიის შედეგად თითქმის განადგურდა უკრაინის ფლოტი, საბრძოლო გემების უმრავლესობა რუსეთმა ჩაიგდო ხელში, ნაწილი კი ოდესის პორტში გადავიდა. უკრაინა გეგმავს ფლოტის აღდგენას და 30 ახალი საბრძოლო ხომალდის შექმნას 2020 წლისათვის. ნატო მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უკრაინას სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობების განვითარებაში და ეხმარება უკრაინას სანაპირო თავდაცვის და შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებაში, უკრაინა კი მონაწილეობას იღებს ალიანსის სხვადასხვა საზღვაო მისიებში. ყირიმის ანექსიის სამი წლის თავზე ყოველწლიური საზღვაო-სამხედრო წვრთნის „ზღვის ბრიზის“ ფარგლებში უკრაინის აკვატორიას ესტუმრა ალიანსის წევრი 17 სახელმწიფოს საზღვაო ძალა. მათ შორის, შავი ზღვის რეგიონის სანაპირო სახელმწიფოების (რუსეთის გარდა)³⁷. გაფორმებული შეთანხმების თანახმად ნატო უკრაინას დაბალ ფასად მიჰყიდის მოძველებულ, თუმცა საბრძოლო მდგომარეობაში მყოფ ხომალდებს.³⁸ აღსანიშნავია, რომ ნატოს მიერ შავი ზღვის აუზში ფლოტის განვითარებასა და ალიანსის ახალი ძალების შექმნის ინიციატივის გაჟღერებისთანავე, უკრაინამ ინიციატივის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. პრეზიდენტმა პოროშენკომ არაერთხელ აღნიშნა, რომ შავი ზღვის აუზში ალიანსის წარმომადგენლობის გაძლიერება დადებითად აისახება რეგიონის უსაფრთხოებაზე.

რუსეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

რუსეთის პოლიტიკა შავ ზღვაში „ძლიერი სახელმწიფოს“ იდენტობით განისაზღვრება. ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში (2000 წლიდან) რუსეთის მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს მრავალპოლარულ სამყაროში ძალის ერთ-ერთ ცენტრად - ევრაზიული ძალის პოლუსად ჩამოყალიბება³⁹. რუსეთის პრეზიდენტი ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას არსებული მსოფლიო წესრიგით. შესაბამისად, რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონტინენტურ ევროპაში ნატოს მონოპოლიის დასრულება უსაფრთხოების სფეროში და ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების აღკვეთა.⁴⁰ ამისათვის აუცილებელია, რომ შავი ზღვის სახელმწიფოები მისი გავლენის სფეროში იყვნენ.

სწორედ რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის გამოხატულებას, საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა, რაც არცისე მოულოდნელია თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი შავი ზღვის რეგიონს საკუთარი

m'. In Ergun, A. & Isaxanli, H. (Eds.). *Security and Cross Border Cooperation in the EU, the Black Sea Region and Southern Caucasus*, 1st ed. pp. 96-107, p 99. Amsterdam, Netherlands: IOS Press BV.

³⁷Jamestown.org. 2017. „Ukraine and NATO Partners Conclude Most Ambitious ‘Sea Breeze’ Black Sea Naval Exercise to Date.“ Accessed: June 10, 2018.<https://jamestown.org/program/ukraine-and-nato-partners-conclude-most-ambitious-sea-breeze-black-sea-naval-exercise-to-date/>

³⁸ Kyiv Post. 2017., „NATO heightens maritime readiness with Ukraine, Black Sea allies“ Accessed: June 10, 2018.

<https://www.kyivpost.com/ukraine-politics/nato-heightens-maritime-readiness-ukraine-black-sea-allies.html>

³⁹ Radin Andrew, Rach Clint. 2017. *Russian Views of the International Order*. Rand Cooperation. P. 79. Accessed: June 10, 2018. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1826/RAND_RR1826.pdf

⁴⁰Weber, Yuval. 2017. Russia's Black Sea Strategy: Restoring Great Power Status. *Foreign Policy Research Institute*.

Accessed: June 10, 2018.<https://www.fpri.org/article/2017/04/russias-black-sea-strategy-restoring-great-power-status/>

გავლენის სფეროდ მიიჩნევა. ეს ტენდენცია კარგად ჩანდა 2000-იანი წლების დასაწყისში დღეს კონცეფციაში⁴¹. რუსეთის პერსპექტივის თანახმად, მას შავი ზღვის ქვეყნებთან აკავშირებს საერთო ისტორიული წარსული და კულტურული მემკვიდრეობა. რუსეთის ინტერვენცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული აგრესია და ყირიმის ანექსია ამტკიცებს რუსეთის მთავარ სტრატეგიას შავი ზღვის მიმართ - „შავი ზღვის საფეხურეობრივი ხელახალი იმპერიალიზაცია“.⁴²

გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისთვის საუკუნეების მანძილზე უცვლელია. შავი ზღვა არის ერთადერთი თბილი ზღვა (რომელიც არასოდეს იყინება და მისი პორტების გამოყენება წელიწადის ყველა დროს არის შესაძლებელი) რუსეთისათვის ამ გეოგრაფიულ სივრცეში პოზიციების გამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში. 2003 წლის სექტემბერში ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ „აზოვისა და შავი ზღვის რეგიონები არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფერო“. ამასთან, შავი ზღვა უზრუნველყოფს რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტებს⁴³.

რუსეთის როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში

შავი ზღვის რეგიონის მიმართ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ორ მთავარ სასიცოცხლო ამოცანას სახავს: 1. ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების შეჩერება და შავი ზღვის რეგიონის საკუთარი გავლენის სფეროში შენარჩუნება; 2. საზღვაო ძალის განვითარება შავ ზღვაზე მეზობელ რეგიონებში ძალის პროექციისათვის. შავი ზღვის მილიტარიზაცია რუსეთისათვის შესაძლებლობას წარმოადგენს წინ აღუდგეს დასავლეთის მიერ წარმოებულ „შეკავების პოლიტიკას“⁴⁴ რუსეთის მიმართ და შეაჩეროს ნატოს გაფართოება. საყურადღებოა მისი ამბიციებისა და მისწრაფებების შესაბამისი ეროვნული საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი⁴⁵, რომელიც 2015 წლით თარიღდება და მიზნად ისახავს რუსეთის მრავალრეგიონულ საზღვაო ძალად ჩამოყალიბებას.

⁴¹Herd Graeme, Moustakis Fotios.2000. *Black Sea Geopolitics: Dilemmas, obstacles and Prospects*. Conflict studies Research Centre. P14-15. Accessed: June 10, 2018. https://www.files.ethz.ch/isn/97695/00_Jul.pdf

⁴²Triantaphyllou Dimitrios. 2016. The Empty shell of Black SeaRegionalism. UA: Ukraine Analitica 4(6).p7. Accessed: June 10, 2018.

<http://www.harvard-bssp.org/static/files/446/DIMITRIOS%20TRIANANTAPHYLLOU.pdf>

⁴³Kremlin. Ru 2003. „The Black Sea gives Russia direct access to the world's major transport routes, including its economic routes“. Accessed: June 10, 2018. <http://en.kremlin.ru/events/president/news/29375>

⁴⁴Musabay, P. 2010. *The Process of Regionalization in The Black Sea Area: 1991-2010*. Middle East Technical University. Accessed: June 10, 2018. <http://citeseerx.ist.psu.edu/>

⁴⁵Bugajski Janusz, Doran Peter. 2016. *Black Sea Defended*. Center for European Policy Analysis Black Sea Strategic Report No. 2. P. 10. Accessed June 10, 2018. <https://bit.ly/2LEATim>

„მონტროს კონვენციას“, თურქეთის მსგავსად, რუსეთისთვისაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს შეთანხმება შავი ზღვის რეგიონში რუსეთის გავლენისა და პრივილიგირებული მდგომარეობის გარანტია და სრულ თანხვედრაშია მის ინტერესებთან. რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება ნატოს სამხედრო ინიციატივებს შავ ზღვაში და ნებისმიერ მოქმედებას თავის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აღიქვამს. ნატოში რუსეთის ელჩის შეფასებით ნატოს მოქმედებები შავი ზღვის რეგიონში და სამხედრო წარმომადგენლობის ზრდა ახალი ცივი ომის რეალობაზე მიანიშნებს და რუსეთს აიძულებს მიიღოს ყველა საჭირო ზომა „ეროვნული ინტერესების“ დასაცავად რეგიონში⁴⁶. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკა რეგიონში საკმაოდ აგრესიულია. 2008 წლის აგვისტოს ომმა, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე აფხაზეთის ფორმალურმა ოკუპაციამ (ცხინვალის რეგიონთან ერთად), ხოლო 2014 წელს ყირიმის ანექსიამ დიდწილად გამოიწვია რუსეთის გაძლიერება და არსებული ძალთა ბალანსის რღვევა.

რუსეთი დღემდე აგრძელებს შავი ზღვის მილიტარიზაციას, სადაც ანექსირებული ყირიმი ესკალაციის ცენტრის როლს თამაშობს. ჯერ კიდევ 2016 წელს რუსეთმა განაცხადა, რომ სულ მცირე 15 საბრძოლო გემი, მათ შორის, 4 თანამედროვე სარაკეტო კრუიზი (Kalibr NK-ს ტიპის) დაემატება ფლოტს. ასევე, აღსანიშნავია, რომ რუსეთი ფლობს ბირთვული შესაძლებლობების იარაღსა და ბირთვულ პლატფორმებს შავი ზღვის აუზში.⁴⁷ რუსეთმა ყირიმის ანექსიით მოიპოვა სევასტოპოლის პორტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რუსეთის საზღვაო ძალაში და უკავია სტრატეგიული მნიშვნელობა. სწორედ სევასტოპოლში არის განთავსებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტის 80%. ის ასევე, წარმოადგენს რუსეთის კუთვნილებაში მყოფ ერთადერთ პორტს, რომელიც წლის მანძილზე არასოდეს იყინება. ამასთანავე, ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთს აქვს ფეოდოსიის პორტი, რომელიც იტევს რუსეთის შავი ზღვის საზღვაო ძალების 20%-ს. შესაბამისად, ყირიმის ნკ.-ზე განთავსებულია რუსეთის საზღვაო ძალების 90%, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ანექსიის მნიშვნელობას რეგიონში არსებული ძალთა ბალანსის ცვლილებაში. ამასთანავე, რუსული საზღვაო ძალები გაიზარდა ქ. სევასტოპოლში წყალქვეშა ფლოტის გაძლიერების შედეგად, რაც ნიშნავს, რომ მას დაემატა გაუმჯობესებული ექვსი ცალი კიფო-კლასის წყალქვეშა ნავი, რომელზეც შესაძლებელია განთავსდეს „კალიბრის“ ტიპის გრძელმასშტაბიანი სარაკეტო სისტემები. აღნიშნულ სისტემებს შავ ზღვაში რუსეთი წარმატებით იყენებდა სირიაში სამხედრო ოპერაციების წამართვისათვის. ასევე, რუსეთმა განავითარა გემთსაწინააღმდეგო და ჭურვსაწინააღმდეგო სისტემები.⁴⁸

⁴⁶RT.com. 2017 „Vicious circle’: Moscow warns NATO Black Sea buildup & increased spending may lead to new Cold War“ Accessed: June 10, 2018. <https://www.rt.com/news/377657-moscow-nato-black-sea-buildup/>

⁴⁷Schneider, Alex. 2016. *U.S. and NATO naval engagement with Russia in the Black Sea: historical patterns and current prospects*. Monterey, California: Naval Postgraduate School. Accessed June 10, 2018. P.2. Accessed June 10, 2018. <https://calhoun.nps.edu/>

⁴⁸Celak Sergiu. 2017. Why does Black Sea matters. New Strategy Center: Center for American Seapower, Hudson Institute. Accessed: June 10, 2018. <https://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Why-the-Black-Sea-Matters-Policy-Paper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power-II-engl-A4-9ian2017-1.pdf>

რუსეთის სახელმწიფო შეიარაღების შესყიდვების პროგრამის თანახმად, რომელიც 2011-2020 წლების პერიოდს მოიცავს, რუსეთი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის დახარჯვას აპირებს საზღვაო ძალის მოდერნიზაციისათვის. კერძოდ, ამ მიზნით, პროგრამის თანახმად გამოყოფილია 112,4 მლრდ. ევრო. 2014 წლის დეკემბერში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ 80 ახალი საბრძოლო გემი დაემატება შავი ზღვის ფლოტს 2020 წლისათვის⁴⁹. ასევე, იგეგმება სევასტოპოლისა და ნოვორასიისკის საზღვაო ბაზების შესაძლებლობების გაძლიერება და მოდერნიზება⁵⁰. რუსეთის სამხედრო სტრატეგიის თანახმად რუსეთსა და თურქეთის საზღვაო ძალებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდება 2020 წლისათვის და რუსეთი ყველაზე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ იქცევა შავ ზღვაში.⁵¹ რუსეთის ეროვნული საზღვაო დოქტრინა, რომელიც 2014 წლის დეკემბერში შეიმუშავეს (ცვლილებები შევიდა 2015 წლის ივლისში) ადასტურებს, რომ რუსეთის გაძლიერდება შავ ზღვაზე ნატოს გაფართოების ხელის შეშლისაკენ არის მიმართული.⁵² ასევე, სტრატეგიის თანახმად რუსეთი ქმნის მანევრის შეზღუდვის ძლიერ ზონას (A2/AD) შავ ზღვაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის შესაძლებლობებს რეგიონში⁵³.

თურქეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

თურქეთი მიიჩნევა სწრაფად მზარდ რეგიონულ ძალად. ფრიდმანის აზრით ის ძირითადად ფოკუსირებულია ახლო აღმოსავლეთზე, თუმცა ძალის პროექციას გარშემო არსებულ ყველა რეგიონზე ახდენს. ამასთანავე, მისი ინტერესები მეზობელ რეგიონებში (მაგ: ახლო აღმოსავლეთში) ხშირად არ ემთხვევა აშშ-ს და ნატოს ინტერესებს.⁵⁴ შავი ზღვის სივრცეს თურქეთისათვის დიდი სატრანსპორტო, ეკონომიკური გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვს, რაც 1990-იანი წლებიდან ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნების, ცისფერი ნაკადის მილსადენის და მომავალი ენერგო მარშრუტების გათვალისწინებით კიდევ უფრო გაიზარდა. თუმცა, მაინც საყურადღებოა, ამ რეგიონის როლი თურქეთის უსაფრთხოებისთვის. მისი დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმართ განისაზღვრება ორი იმპერატივით: 1. მონტროს კონვენციით და 2. რეგიონული ძალის სტატუსით.

⁴⁹Cross Sharyl. 2015. *NATO-Russia Security Challenges in the Aftermath of Ukraine Conflict: Managing Black Sea Security and Beyond*. Southeast European and Black Sea Studies, 15 (2). 151-177. Accessed: June 10, 2018.

<https://doi.org/10.1080/14683857.2015.1060017>

⁵⁰ Delanoé Ian. 2014. *After the Crimean crisis: towards a greater Russian maritime power in the Black Sea*. Southeast European and Black Sea Studies, 14 (3), 367-382. Accessed: June 10, 2018 <https://doi.org/10.1080/14683857.2014.944386>

⁵¹ Celak Sergiu. 2017. Why does Black Sea matters. New Strategy Center: Center for American Seapower, Hudson Institute. Accessed: June 10, 2018. <https://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Why-the-Black-Sea-Matters-Policy-Paper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power-II-engl-A4-9ian2017-1.pdf>

⁵² Eurasia Daily Monitor 12,(151) "Russia's New Maritime Doctrine." Accessed: 10 June, 2018. <https://jamestown.org/program/russias-new-maritime-doctrine/>

⁵³ Radio Free Europe Radio Liberty .2016. News Analysis: Russian Buildup Focuses Concerns Around the Black Sea. Accessed: 10 June, 2018. <https://www.rferl.org/a/russia-black-sea-military-buildup-turkey/27569877.html>

⁵⁴ Friedman, George. 2007 Turkey as a Regional Power. *Stratfor Worldview*. Accessed: June 10, 2017. <https://worldview.stratfor.com/article/turkey-regional-power>

რეგიონში საკუთარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობად თურქეთს ესახება მონტროს კონვენციით განსაზღვრული სტატუს-კვოს, ამავე დოკუმენტის საფუძველზე დამყარებული ძალთა ბალანსის უზრუნველყოფა და გარე ძალების ჩარევის შეზღუდვა. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლი თურქეთისათვის ეროვნული სიამაყის საგანი და მთავარი მონაპოვარი იყო საუკუნეების მანძილზე. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის მთელი რეგიონი არის გავლენის, სიძლიერისა და საერთაშორისო პრესტიჟის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რაც ისტორიული და გეოგრაფიული რეალობით არის განპირობებული.

რუსეთის მიერ განხორციელებულმა ყირიმის ანექსიამ თავდაპირველად იმდენად დიდი შემფოთება გამოიწვია თურქეთის მხრიდან, რომ არატრადიციულ პოლიტიკასაც კი მიმართა და გარე აქტორების ჩართულობას უჭერდა მხარს ტრადიციული ბალანსის აღსადგენად. 2016 წელს თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა იენს სტოლტენბერგთან შეხვედრისას განაცხადა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ შავი ზღვა “რუსეთის ტბად“ იქცა და ალიანის წევრებს „ისტორია არ აპატიებს უმოქმედობას“.⁵⁵

აღსანიშნავია, რომ თურქეთის პოლიტიკაზე შავი ზღვის რეგიონის მიმართ დიდ გავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და როდესაც მათ შორის ურთიერთობები ნორმალიზირებულია, თურქეთისათვის სრულიად მიუღებელია არარეგიონული აქტორების ჩართვა. მას შემდეგ, რაც თურქეთმა საერთო ენა გამოძებნა რუსეთთან და ორი ქვეყნის თანამშრომლობა შესამჩნევად ღრმავდება შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების განხილვამ ფართო საერთაშორისო ფორმატებში თურქეთისთვის აქტუალობა დაკარგა.

თურქეთს არ აქვს ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული ხედვა შავი ზღვის რეგიონის მიმართ. ეს გამოწვეულია არა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხის ნაკლებად პრიორიტეტულობით, არამედ თურქეთისათვის მისი სასიცოცხლო მნიშვნელობით, რაც ლოგიკურია რომ იწვევს თურქეთის რეფლექსურ, ხშირად არათანმიმდევრულ რეაქციებს. თურქეთის მოქმედებები შვი ზღვის აუზში ასახავს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში სხვადასხვა რეგიონული ინტერესების ურთიერთკავშირს, ამავდროულად მის თვითმყოფად პოლიტიკას და ინტერესებს რეგიონის მიმართ და რეგიონული ძალის სტატუსის განმტკიცების სურვილს.

⁵⁵Eadaily. 2016. „Who needs joint NATO fleet in the Black Sea?“ Accessed: June 10, 2018. <https://eadaily.com/en/news/2016/06/21/who-needs-joint-nato-fleet-in-the-black-sea>

მონტროს კონვენცია

მონტროს კონვენცია წარმოადგენს სამართლებრივ რეჟიმს თურქეთის სრუტეებისათვის, რომელიც 1936 წლიდან მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ ის არის საფუძველი იმ პოლიტიკური და სამხედრო ბალანსისა, რომელიც დაცული იყო შავი ზღვის რეგიონში ცივი ომის მანძილზე. ამ კონვენციას თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აღიარებს თურქეთის უფლებებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლზე და აკისრებს პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე. მონტროს კონვენციის თანახმად სავაჭრო და სამგზავრო გემების თავისუფალი გადაადგილება შავ ზღვაში ნებადართულია. თუმცა, ის ზღუდავს იმ სამხედრო გემების ყოფნას ზღვაში, რომლებიც შავი ზღვის აუზის რომელიმე სახელმწიფოს არ ეკუთვნის. შავი ზღვის აუზის გარეთ მყოფი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემის შავ ზღვაში დარჩენის მაქსიმალური დრო 21 დღეა.

მონტროს კონვენციის დაცვა ცივი ომის პერიოდში ყველა აქტორის ინტერესებში იყო. ნატო მიესალმებოდა ამ კონვენციაზე დაფუძნებულ ბალანსს, რადგან ეს ზღუდავდა სსრკ-ს ფლოტის ხმელთაშუა ზღვაში სწრაფად გადაადგილების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, კი შავი ზღვა ჩაკეტილ ზღვად რჩებოდა საბჭოთა ინტერესების შესაბამისად. ხოლო, თურქეთისათვის მონტროს კონვენციას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სრუტეების კონტროლი თურქეთის სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ძვირფასი მონაპოვარია, რომელიც სწორედ ამ კონვენციით არის განპირობებული.⁵⁸

მიუხედავად ამისა, ცივი ომის დასრულების შემდეგ შეცვლილმა რეალობამ, ტერორიზმის საფრთხემ და ნატოს გაფართოებამ (ალიანსს შეუერთდა რუმინეთი და ბულგარეთი) დღის წესრიგში დააყენა მონტროს კონვენციის გადახედვის საკითხი, ეს წინადადება აბსოლუტურად მიუღებელია თურქეთისათვისა და რუსეთისთვის, რადგან ორივე მათგანის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მონტროს კონვენცია რუსეთისა და თურქეთისათვის ხელსაყრელი უსაფრთხოების სისტემის საფუძველია შავი ზღვის რეგიონში, რადგან უზრუნველყოფს მათ პრიორიტეტულ მდგომარეობას და ზღუდავს სხვა აქტორების ჩართულობას რეგიონში.

1990-იანი წლებიდან თურქეთი აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში, ამასთანავე, მან დაიწყო საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტების შექმნა და გააქტიურება. მათ შორის, აღსანიშნავია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნის ინიციატივა, რომელიც სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად უნდა ქცეულიყო. თუმცა, ეს პროექტი წარმატებით ვერ განხორციელდა, რაც პირველ რიგში განპირობებულია წევრებს შორის ინტერესთა შეუთავსებლობით და შესაფერისი ლიდერის არ არსებობით. თურქეთის პოლიტიკა შავ ზღვაში არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნების მცდელობაა, მას არ აქვს სურვილი გახდეს ინიციატორი და იქცეს რეგიონის გეოპოლიტიკური არქიტექტურის გარდამქმნელ ძალად.

შავი ზღვის აუზში თურქეთის სამხედრო გავლენის ზრდის მცდელობას წარმოადგენს სხვადასხვა ინიციატივები. მათ შორის ერთ-ერთი პირველია არაპერმანენტული სამხედრო ძალა BLACKSEAFOR, რომელიც 2001 წელს დაარსდა ექვსი სანაპირო ქვეყნის მიერ და მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას სანაპირო და საძიებო ოპერაციებში, ჰუმანიტარული დახმარების სფეროში, გარემოს დაცვაში და ა.შ. ასევე, არის საზღვაო ოპერაცია Black Sea Harmony, რომელიც დაარსდა 2004 წელს. მისი მიზანია ტერორიზმისა და ტრეფიკინგის რისკის, არალეგალური იარაღით ვაჭრობის შემცირება შავი ზღვის რეგიონში. Black Sea Harmony-ს და BLACKSEAFOR-ის მისიებისათვის გამოწვევას წარმოადგენდა ეფექტური და სწრაფი კოორდინაციის, ინფორმაციის გაზიარებისა და დაზვერვის საკითხებში მჭიდრო სამუშაო კავშირების არარსებობა. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანის წარმატებას აფერხებს სანაპირო ქვეყნებს შორის არასაკმარისად განვითარებული ურთიერთობები და მათ მიერ მისიის აღქმა, როგორც შავი ზღვის უდიდესი სახელმწიფოების-თურქეთისა და რუსეთის - მცდელობა, გაამყარონ მათი საერთო გავლენა რეგიონში.

თურქეთის პოლიტიკა შავ ზღვაში ტრადიციულად (1936 წლიდან) განისაზღვრება მონტროს კონვენციით. ვერც 11 სექტემბრის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ მოახდინა გავლენა თურქეთის პოზიციაზე. მიუხედავად ანტი-ტერორისტულ ოპერაციებში აქტიური მონაწილეობისა, 2006 წლის იანვარში, ის შეეწინააღმდეგა Operation Active Endeavour (OAE)-ს ფარგლებში ნატოს მოქმედებას შავ ზღვის აუზში და საკუთარი პოზიცია მონტროს კონვენციის დაცვის მოტივით ახსნა.⁵⁶ ასევე, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს თურქეთმა არ დაუშვა მონტროს კონვენციის დარღვევა და უარი განაცხადა საქართველოს დასახმარებლად გაგზავნილ აშშ-ს გემების მიღებაზე შავ ზღვაში, რომლებიც აჭარბებდა ამ შეთანხმებით შესაბამის დასაშვებ წონას.⁵⁷ 2014 წელს კი ყირიმის კრიზისის ფონზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თურქეთი დაადანაშაულა მონტროს კონვენციის დარღვევაში, რადგან მან ნება დართო ამერიკულ საზღვაო გემებს

⁵⁶ Aydin, M. 2012. Contending Agendas for the Black Sea Region, A Regional Alternative.. p54. Accessed: June 10, 2018. http://demokratizatsiya.pub/archives/20_1_03T5711257237118.pdf

⁵⁷ Aliriza, Bulent. 2008. Turkey and the Crisis in the Caucasus. *Center for Strategic and International Studies*. Accessed: June 10, 2018. <https://www.csis.org/analysis/turkey-and-crisis-caucasus>

კონვენციით განსაზღვრულ ვადაზე 21 დღით მეტ ხანს დარჩენილიყვნენ შავ ზღვაში. თუმცა, თურქეთი უარყოფს ამ ფაქტს და საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს მონტროს კონვენციის ნებისმიერ განხილვას საჯარო სივრცეში.⁵⁸

თურქეთის როლზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ის რეგიონული ძალაა, მაგრამ არა-გლობალური (რუსეთისაგან გასხვავებით) და საკუთარი რეგიონული სტატუსის შესანარჩუნებლად ცდილობს დააბალანსოს რუსეთი შავი ზღვის რეგიონში. სწორედ ამიტომ, თურქეთი საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური კურსისა და ნატოში ინტეგრაციის ერთ-ერთი მხარდამჭერია⁵⁹. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მონტროს კონვენცია მას შესაძლებლობას აძლევს რუსეთი დააბალანსოს საკუთარი შესაძლებლობების ხარჯზე საზღვაო უსაფრთხოების სფეროში, თუმცა სხვა სფეროში მას ნატოსა და სახვა აქტორების დახმარება სჭირდება. ამიტომ, რეგიონში რუსეთის მიერ დარღვეულ ძალთა ბალანსზე რეაგირების ფარგლებში თურქეთი მწვავედ აყენებს ყირიმის არალეგალური ანექსიის საკითხს და 2016 წელს მან გააღრმავა თანამშრომლობა უკრაინასთან სწორედ საზღვაო უსაფრთხოების სფეროში.⁶⁰ ამავდროულად, ნიშანდობლივია 2017 წლის აპრილში თურქეთის მიერ ჩატარებული წვრთნა „ვარსკვლავი 2017“ შავი ზღვის აუზში, რომლის ფარგლებშიც თურქული გემები ესტუმრნენ ყველა სანაპირო სახელმწიფოს პორტს, მათ შორის რუსულ პორტსაც⁶¹. ხშირად რჩება შთაბეჭდილება, რომ თურქეთისათვის საზღვაო და რეგიონული უსაფრთხოება სხვადასხვა სფეროა და მას არ აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ.⁶² სინამდვილეში, თურქეთს აქვს საკუთარი, კარგად განსაზღვრული ინტერესები შავი ზღვის მიმართ და მისი ზოგჯერ არა თანხვედრადი პოლიტიკები სწორედ ამ ინტერესების კომპლექსურობის დასტურია.

საყურადღებოა, რომ 2015 წელს თურქეთის საზღვაო ძალები შავ ზღვაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა რუსეთის საზღვაო ძლებს. თურქეთი ფლობდა 44 სანაპირო ხომალდსა და 13 წყალქვეშა ნავს. ხოლო, რუსეთის ფლოტის შემადგენლობაში შედიოდა 22 სანაპირო გემი და სამი ოპერაციული წყალქვეშა ნავი. თუმცა, რუსეთის სამხედრო სტრატეგიის თანახმად ორი ქვეყნის საზღვაო ძალებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდება 2020 წლისათვის.

⁵⁸ Daily Sabah. 2014. Davutoğlu: "Montreux Convention cannot be violated". Accessed: June 10, 2018. <https://www.dailysabah.com/world/2014/04/14/fm-says-montreux-convention-cannot-be-violated>

⁵⁹ Kardas, Stepken. 2015. Turkey: A Regional Power Facing a Changing International System. In Dal, E.P., Kubicek, P. & Oguzlu H.T. (Eds.), *Turkey's Rise as an Emerging Power*. 1st ed., pp. 21- 45. New York, USA: Taylor & Francis

⁶⁰ Knyazev, Svytavoslav. 2016. "Russia's Lake": The Black Sea Fleet vs. the New Ukraine-Turkey Naval Coalition. *Global Research*. Accessed: June 10, 2018. <https://www.globalresearch.ca/russias-lake-the-black-sea-fleet-vs-the-new-ukraine-turkey-naval-coalition/5526310>

⁶¹ ამერიკის ხმა. 2017. შავი ზღვა: თურქეთის წვრთნები, რუსეთი და საქართველო. ბოლო ნახვა: ივნისი 10, 2018. <https://www.amerikiskhema.com/a/georgia-turkey-russia-military-balance-in-the-black-sea-region/3795829.html>

⁶² Petrishvili Sophia. 2015. *Where Is the Black Sea Region In Turkey's Foreign Policy?* Turkish Policy Quarterly. Accessed: June 10, 2018. <http://turkishpolicy.com/article/777/where-is-the-black-sea-region-in-turkeys-foreign-policy>

რუსეთსა და თურქეთს შორის კონფრონტაციამ მწვერვალს 2015 წელს მიაღწია, რაც გამოიხატა სწორედ შავი ზღვის სივრცეში. თუმცა, 2016 წლიდან ქვეყნებმა შეძლეს საერთო ენა გამოენახათ მნიშვნელოვან საკითხებზე (მათ შორის ახლო აღმოსავლეთში) და ამ პერიოდიდან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების „დათბობის“ ტენდენციები შეინიშნება. 2015 წლის ეპიზოდებმა კარგად აჩვენა, რომ რეგიონულ ძალებს შორის სულ სხვა რეგიონში წარმოშობილმა ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლოა მარტივად აქციოს შავი ზღვა დაპირისპირების ფრონტად⁶³. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთისათვის სენსიტიურ საკითხებში (სირია, ქურთების პრობლემა) რუსეთთან თანამშრომლობა პრიორიტეტულია, ლოგიკურია, რომ შესუსტდა თურქეთის ჩართულობა და მხარდაჭერა ნატოს ინიციატივებში შავ ზღვაში.⁶⁴

შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების განვითარების ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ნაშრომში წარმოდგენილი შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების საკითხის აქტუალიზაციის ტენდენციები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, განსაკუთრებით კი ნატოს მონაწილეობით, მიუთითებს, რომ არსებული გამოწვევების გაცნობიერების შედეგად ალიანსმა დაიწყო თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავება რეგიონთან დაკავშირებით, რაც მისი გააქტიურებისა და საბოლოოდ რეგიონის მიმართ მტკიცე პოლიტიკის ჩამოყალიბების პერსპექტივად შეიძლება მივიჩნიოთ. მოსალოდნელია, რომ შავი ზღვასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო დიდ ადგილს დაიკავებს ნატო-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დღის წესრიგში.

ასევე, რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ფონზე, როდესაც ცივილიზირებული სამყარო რუსეთს აგრესიულ პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშ დარღვევაში სდებს ბრალს, სწორედ რუსეთის შეკავების მიზნით ნატომ დაიწყო ზრუნვა აღმოსავლეთ ფლანგის გასამაგრებლად. იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთ ფლანგში უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ როლს თამაშობს შავი ზღვის რეგიონი, ალიანსის ფარგლებში დაიწყო სხვადასხვა ინიციატივების განხილვა და მიიღეს შავი ზღვის მრავალეროვნული ძალების შექმნის გადაწყვეტილება (2017 წელი). არსებული ვითარება მიუთითებს, რომ ნატოს სამხედრო წარმომადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდება შავ ზღვაში, რაც შეიძლება მოხდეს არსებული ინიციატივის ფარგლებში ან სხვა ახალი ფორმატის საშუალებით.

⁶³ Bugajski Janusz, Doran Peter. 2016. *Black Sea Defended*. Center for European Policy Analysis Black Sea Strategic Report No. 2. P. 2. Accessed June 10, 2018. <https://bit.ly/2LEATim>

⁶⁴ Kogan Eugene. 2017. „NATO’s Black Sea Allies Look Divided and Vulnerable“. *Balkan Insight*. Accessed: June 10, 2018. <http://www.balkaninsight.com/en/article/nato-s-black-sea-allies-look-divided-and-vulnerable-08-25-2017>

იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს მომავალში თითქმის წარმოუდგენელია მონტროს კონვენციის გადახედვა, შავ ზღვაში ნატოს მთავარი დასაყრდენი სწორედ რეგიონის სახელმწიფოები უნდა იყვნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებში საქართველოსა და უკრაინის ჩართულობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნატოსთვის. მოსალოდნელია, რომ გაგრძელდება დაწყებული დინამიკა ამ კუთხით და საქართველო და უკრაინა კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან რეგიონის უსაფრთხოების შესახებ ნატოს ფარგლებში გამართულ დისკუსიებში, რაც ამ ქვეყნების თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

თუმცა, რუსეთი და თურქეთი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნისა და ნატოს როლის გაძლიერებისათვის. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით (2015 წლის კონფრონტაციიდან 2017 წლის მეგობრობამდე) და თურქეთსა და მის ტრადიციული პარტნიორს აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, რუსეთ-თურქეთის „დაახლოება“ ქმნის შავი ზღვის რეგიონში სხვა აქტორების როლის შეზღუდვის, მათი პოზიციების შესუსტების საფრთხეს და მიანიშნებს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების ექსკლუზიურად რეგიონულ დონეზე (რუსეთისა და თურქეთის მიერ) გადაწყვეტის პერსპექტივებზე.

შავი ზღვის რეგიონზე სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების ფოკუსირება და მიმდინარე მილიტარიზაციის ტენდენციები ზრდის რეალური კონფრონტაციის რისკს. 2014 წლის შემდეგ რამდენიმე სახიფათო შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც რუსეთ-თურქეთისა და რუსეთისა და ნატოს სამხედრო ძალები სახიფათოდ გადაიკვეთნენ რეგიონის საზღვაო სივრცეში. შავი ზღვის მილიტარიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, შესაძლოა შავი ზღვა უახლოეს მომავალში რუსეთსა და ნატოს შორის დაძაბულობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხაზად იქცეს.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის შესაკავებლად საჭიროა რეგიონის მასშტაბით ევრო-ატლანტიკური სივრცის გაფართოების გაგრძელება. რეგიონის უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და უკრაინის სტაბილურობას და მათ ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. 2014 წლიდან ნატოს ფარგლებში შავი ზღვის უსაფრთხოების შესახებ წარმოქმნილ დისკუსიებსა და ინიციატივებში ორივე ქვეყანა აქტიურად არის ჩართული, რაც შესაძლებელს ხდის მათ კიდევ უფრო მეტად დაახლოებას ალიანსის სტანდარტებთან და ზრდის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაში გაწევრიანების პერსპექტივებს.

შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების წინაშე მრავალი გამოწვევა არსებობს, „გაყინული კონფლიქტები“, ქვეყნების პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ. მოსალოდნელია, რომ რუსეთი კიდევ უფრო გააქტიურებს ზეწოლას რეგიონის სახელმწიფოებში დასახელებული ინსტრუმენტებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით, იმ მიზნით, რომ შეაფერხოს მათი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია და შესაბამისად, რეგიონის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მოქცევა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობისათვის:

- **ერთიანი ხედვის შემუშავება შავი ზღვის უსაფრთხოების შესახებ.** საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ერთიანი, თანმიმდევრული ხედვა შავი ზღვის უსაფრთხოებისადმი. მართალია, აღნიშნული საკითხი ასახულია სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში, თუმცა საჭიროა უფრო დეტალური და პროაქტიული პოლიტიკის შემუშავება, რომლის ფარგლებში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ.) კოორდინირებულად იმოქმედებენ. აღსანიშნავია, რომ საკითხის აქტუალობის მიუხედავად, არც საგარეო საქმეთა სამინისტროში და არც თავდაცვის სამინისტროში არ არსებობს კონკრეტული უწყება/დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ერთიანი მიდგომის შემუშავებასა და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას.
- **შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების აქტუალიზაცია ორმხრივ ფორმატში.** შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში რეგიონული უსაფრთხოება ერთ-ერთ აქტუალურ თემად უკვე იქცა. თუმცა, ამ რეგიონის მნიშვნელობისა და როლის გათვალისწინებით ევროპული უსაფრთხოებისთვის, საქართველოს შეუძლია აღნიშნული საკითხი სხვა ევროპულ პარტნიორებთან შეხვედრების დღის წესრიგის ნაწილადაც აქციოს.
- **საზღვაო ძალების განვითარება და სანაპირო დაცვის გაძლიერება.** შავ ზღვაში წარმოშობილი მილიტარიზაციის ტენდენციებისა და ნატოს სტანდარტებთან დაახლოების კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ყურადღება გაამახვილოს საზღვაო ფლოტის განვითარებასა და სანაპირო დაცვაზე. საქართველომ

ასევე უნდა განაგრძოს და კიდევ უფრო გააქტიუროს ნატოს ფარგლებში შავი ზღვის მასშტაბით საზღვაო წვრთნებში მონაწილეობა.

- **შავი ზღვის რეგიონული საკითხების განხილვა ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში.** საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და რეფორმების პროცესების შესახებ ევროკავშირის კონტექსტშიც და აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირის მასშტაბით შავი ზღვის რეგიონის მიმართ რეგიონული პოლიტიკის შემუშავებას. იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ შავი ზღვის საშუალებით უკავშირდება საქართველო ევროკავშირს ამ რეგიონთან მიკუთვნებულობა ევროპული იდენტობის ნაწილად შეიძლება იქცეს, ასევე, ამ რეგიონის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ორ ლიდერს - საქართველოსა და უკრაინას ევროკავშირთან ურთიერთობების ახალ ფორმატში წარმართვის შესაძლებლობებიც ეძლევათ

ნატოსა და ევროკავშირისათვის:

- **ინტენსიური დიალოგი საქართველოსა და უკრაინასთან.** შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნატოს მიერ თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებას, სადაც აქტიურად იქნება ჩართული ნატოს წევრი რეგიონული სახელმწიფოები. თუმცა ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა ინიციატივების შემუშავების პროცესში აქტიური დიალოგი აწარმოოს საქართველოსა და უკრაინასთან.
- **ნატოს ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნება რეგიონში.** შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისა და რუსეთის შეკავებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ნატოს ღია კარის პოლიტიკასა და საქართველოსა და უკრაინის ევრო-ატლანტიკური პერსპექტივების არსებობას. ნატოს მომავალ ბრიუსელის სამიტზე (ივლისი, 2018) ალიანსმა კიდევ ერთხელ უნდა გაუსვას ხაზი, რომ საქართველოს და უკრაინას აქვს ორგანიზაციაში გაწევრიანების რეალური პერსპექტივა. ამასთან, ქმედითი ნაბიჯები გადადგას ამ ქვეყნების ნატოში ინტეგრაციის ხელშესაწყობად.
- **ევროკავშირის მაკრო-რეგიონული სტრატეგია შავი ზღვის რეგიონისათვის.** სასურველია, ევროკავშირმა შეიმუშავოს მაკრო-რეგიონული სტრატეგია შავი ზღვის მიმართ რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობის გაძლიერებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ იდეას აქტიურად უჭერს მხარს ბულგარეთი, მსგავსი მიდგომა უკვე მოქმედებს ბალტიისპრეთის ზღვის, დუნაის, ალპებისა და სხვა რეგიონების მიმართებით.⁶⁵

⁶⁵Ec.europa.eu „Macro-Regional Strategies“ Accessed: June 10, 2018.
http://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/cooperation/macro-regional-strategies/

- **რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება საფრთხეებთან გასამკლავებლად.** ნატომ და ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყონ უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან, მათ შორის ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებით რეგიონული თანამშრომლობის გააქტიურებას, შესაბამისი ფორმატების შექმნას და კოორდინაციის გაუმჯობესებას, რასაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ანა ჩიტალაძე. „შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე“, კვლევითი დოკუმენტი # 7, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2018.

© Georgian Institute of Politics, 2018

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge